ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4276722

ნომერი: AR1645081

თარიღი : 19.11.2018

გაცემის თარიღი : 26.11.2018

გაცნობის თარიღი : 27.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვლადიმერ ლობჟანიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს "ბანი ლუქსი" კოდი: 406054852

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:
მიუთითეთ მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.

02. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სქალაქო სამსახურის (ახლანდელი მუნიციპალური ინსპექციის) N№-19/01172992280-17 (15.01.2018) ბრძანებიდან გამომდინარე,

- „ა-კ“ ფასადზე: პანდუსზე მოწყობილი ლითონის მოაჯირი და სვეტები შესაღებია.
- „ა-კ“ ფასადზე: +4.96 ნიშნულის ქვევით „დ-ე“ მონაკვეთში ფრამუგის გარშემო კედელი შესაღებია.
- ტერიტორიაზე მოწყობილი პანდუსის გაბარიტები (გარდა საავტომობილო პანდუსისა) შემცირებულია, მათი დახრა აღემატება დასაშვებ ნორმებს, გაუქმებულია მოაჯირი, ხოლო პანდუსის ნაწილი მოსაპირკეთებელია.
- ასევე გაცნობებთ, რომ ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები. (17-01183123562 08.11.2018)

საჭიროა დაასრულოთ სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, კონდიციონერები შეფუთოთ და წარმოადგინოთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, სამშენებლო სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით.
ასევე ტერიტორიაზე მოწყობილი პანდუსები მოიყვანოთ შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში და წარმოადგინოთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული ანაზომი პროექტი (გეგმები; ფასადები).

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.